

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო
ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი (N87/01-01, 07.06.2016)**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ს“ „ტ“ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებით დამტკიცებული „ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი ([დანართი №1](#)). (N87/01-01, 07.06.2016)
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი (N87/01-01, 07.06.2016)

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „თსუ“) საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს სტუდენტის ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე (შემდგომში - „შიდა მობილობა“) გადასვლის პროცედურას. (N87/01-01, 07.06.2016)

მუხლი 2. სტუდენტთა შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს თსუ.
2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება თსუ-ს შიდა მობილობის ელექტრონული პორტალი (შემდგომში - „ელექტრონული პორტალი“), რომელზეც აისახება:
 - ა) საგანმანათლებლო ერთეულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შიდა მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები, რომელთა რაოდენობა წერილობით შეთანხმებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან; (N87/01-01, 07.06.2016)
 - ბ) შიდა მობილობის მსურველთა მონაცემები;
 - გ) საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით გადასვლის კანდიდატთა სია.
 - დ) სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმდებ საგანმანათლებლო პროგრამასთან და აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
3. თსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდება:
 - ა) შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.
 - ბ) შიდა მობილობის ვადები.
4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

მუხლი 3. შიდა მობილობის უფლების მქონე პირი

1. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს თსუ-ს სტუდენტს.
2. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. შიდა მობილობის უფლების შეზღუდვა

1. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის, სამედიცინო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად.
2. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
3. სამჯერ ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის ვერმიღების გამო სტუდენტის მიმართ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემამდე, მობილობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზეც ხსენებული კურსი სავალდებულო სასწავლო დისციპლინას არ წარმოადგენს ან არ წარმოადგენდა (N142/01-01, 12.06.2018).
4. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება სტუდენტს, რომელმაც სწავლების ძირითად ვადებში ვერ შეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება.

მუხლი 5. საგანმანათლებლო ერთეულის მიერ შიდა მობილობისათვის ადგილების რეგისტრაცია

1. საგანმანათლებლო ერთეული უფლებამოსილია ელექტრონულ პორტალზე რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დაარეგისტრიროს შიდა მობილობის ადგილები, საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. (N87/01-01, 07.06.2016)

მუხლი 6. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

1. შიდა მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით.
2. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არა უმეტეს 5 საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა.

მუხლი 7. შიდა მობილობით გადასვლის უფლების მოპოვება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები (საკონკურსო ქულა) აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

1. შიდა მობილობის უფლება მაგისტრანტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. (N16/01-01, 31.01.2014)
2. თუ ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია ორი ან მეტი სტუდენტი, ისინი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.
3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, შიდა მობილობით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.
4. შიდა მობილობის მსურველი მოიპოვებს საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით.
5. სტუდენტი, რომელმაც მოიპოვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლება, უფლებამოსილია მიმართოს საგანმანათლებლო ერთეულს შეთანხმების (სტუდენტთან დადებულ მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა) გაფორმების თაობაზე.
6. შიდა მობილობის მსურველი, რომელიც რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში არ მიმართავს საგანმანათლებლო ერთეულს და არ გააფორმებს შეთანხმებას, კარგავს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის უფლებას.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა დგინდება თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. სტუდენტის შიდა მობილობასთან დაკავშირებული აქტის გამოცემა

1. საგანმანათლებლო ერთეული სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს წარუდგენს წარდგინებას სტუდენტის გადასვლის თაობაზე, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ამოწმებს საგანმანათლებლო ერთეულის წარდგინებაში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან და ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს წარდგინებაში მითითებული სტუდენტების შიდა მობილობით გადასვლის შესახებ. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ასევე უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
2. რექტორის ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით გადასვლის შესახებ გამოიცემა შესაბამისი სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები. (N16/01-01, 31.01.2014)

ამ წესის მე-7 მუხლის 1¹ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ მაგისტრანტებზე, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.